ხელშეკრულება 171
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გურჯაანი

29 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ, **გურჯაანის მუნიციპალიტეტი** (№13. ს/კ 227765022) წარმოდგენილი მისი გამგებლის **გივი გერგიძის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“)
მეორეს მხრივ, **ი/მ „ავთანდილ ნიკოლაშვილი“** (ს/კ 13001015986), (შემდგომში წოდებული „“მიმწოდებლად“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის მეთოდით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულების საფუძველზე ("სოფლის მხარდაჭერისპ როგრამა“) გამოყოფილი თანხების ფარგლებში დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ “ (შემდგომში - „ხელშეკრულება “) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება “ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე “, „კვირა “, „თვე “ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი “ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი “ - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „სამუშაო “ - ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. **<u>გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანში კულტურის სახლის სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები.</u>**
1.2. კლასიფიკატორის კატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდი 45200000
1.3. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **2955 <u>(ორიათასცხრაასორმოცდათხუთმეტი)</u>** ლარს;
3.2. შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ღირებულებები მოცემულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის;
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. (დღგ-ს გარდა)

4. სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის **სოფელი მელაანი.**
4.2. სამუშაოს მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2015 წლის 14 აგვისტომდე.**

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით;
5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;ბ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის არმოჩენის შესახებ;
5.2.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით;ბ) სამუშაოს მიწოდების ვადის დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დათქმულ ვადაში.

.3.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი 6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და ჩაბარებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში და შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების მომენტიდან 2(ორი) წლის განმავლობაში;

6.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა;

6.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.3. ანგარიშწორება იწარმოებს ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტაციის (შესრულებული სამუშაოს ფორმა 2–ის, დათვალიერების აქტის, კომისიის დასკვნისა და მიღება-ჩაბარების აქტის) წარმოდგენის საფუძველზე, ანაზღაურდება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება; (დოკუმენტაციის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში).

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს <u>**გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 დეკემბრის N 2258 ბრძანებით, შექმნილი კომისია;**</u>

9. შესყიდვის საგნის მიღება–ჩაბარების წესი

სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება–ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10. 1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

10.. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 (ოცი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

11. 1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრ ულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისშემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრ ულების ღირებულების 10%-–ზე მეტი ოდენობით;

11.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

11.5. ხელშეკრულების 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

11.6.. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღ ნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყო ვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრ ულების შესახებ, წინააღ მდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2015 წლის 1 ოქტომბრამდე.**

შემსყიდველი:

გურჯაანის მუნიციპალიტეტი. მისამართი: ქ.გურჯაანი. ნონეშვილის გამზ. N13; ს/კ 227765022; ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESG22; ანგარიშის № GE24NB0330100200165022.

მიმწოდებელი:

ი/მ „ავთანდილ ნიკოლაშვილი“ მისამართი: სოფ. ახაშენი; ს/კ 13001015986; ს.ს. "ლიბერთი ბანკი" ბ/კ LBRTGE22 ანგარიშის № GE22LB0112142103314000

გურჯაანის მუნიციპალიტეტი
გამგებელი

გივი გერგიძე

ი/მ „ავთანდილ ნიკოლაშვილი“

ავთანდილ ნიკოლაშვილი